

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არქიტექტურა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამის გარდა, ბაკალავრიატის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქიტექტურა“ სწავლის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტმა:

1. სტუ-ის სპეციალური კომისიის წინაშე წარმატებით უნდა გაიაროს გასაუბრება, რისთვისაც წერილობით უნდა წარმოადგინოს და სიტყვიერად დაასაბუთოს პროგრამაზე სწავლის საკუთარი მოტივაცია, ასევე წარმოადგინოს ნამუშევრები პორტფოლიოს სახით. პორტფოლიო უნდა შეესაბამებოდეს შემოქმედებითი ტურის დებულების მოთხოვნებს.

<https://gtu.ge/ids/apply/bachelor.php>

2. პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. <https://gtu.ge/en/apply/bachelor.php> აღნიშნულ შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი არანაკლებ B1 დონის სერტიფიკატი. აპლიკანტებს, რომლებსაც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

პროგრამის მიზანი

- მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენტურობის მქონე პრაქტიკულ მუშაობაზე ორიენტირებული არქიტექტორი, რომელსაც ექნება: მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, შემოქმედებითი აქტივობა და სივრცული აზროვნება; არქიტექტურის საფუძვლების, მისი არსის, განვითარების კანონზომიერებების, დაპროექტების ძირითადი პრინციპების და მეთოდების, თანამედროვე ტექნოლოგიების, არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმების, წესების, საკანონმდებლო მოთხოვნების ცოდნა;
- განუვითაროს სტუდენტს საპროექტო გადაწყვეტილების მიღების, არქიტექტურის დარგში არსებული მოწინავე გამოცდილების გაზიარების, ინგლისურ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის, დარგთან დაკავშირებული პრობლემების კრიტიკული ანალიზის და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; ექნება ის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას არქიტექტურული სერვისების დასაქმების ბაზარზე;

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ფლობს არქიტექტურის ისტორიის, თეორიისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: ხელოვნების, ტექნოლოგიების, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებს და იაზრებს მათ გავლენას არქიტექტურული

დაპროექტების ხარისხზე;

- განმარტავს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს, საზოგადოებრივ მოთხოვნებს, დამკვეთისა და მომხმარებლის ინტერესებს, დარგობრივ სამართლებრივ რეგულაციებს და არქიტექტორთა პროფესიული ეთიკის ნორმებს, არქიტექტურის პროფესიის როლსა და მნიშვნელობას;
- აღწერს არქიტექტურული პროექტების/კონცეფციების ხორცშესხმისთვის აუცილებელ პროცედურებს და პროცესებს, ასევე, დაპროექტების თეორიისა და მეთოდების ზოგიერთ უახლეს ასპექტს;
- ახდენს შენობა-ნაგებობის სისტემებთან დაკავშირებული სტრუქტურების, მასალების, კონსტრუქციების, სამშენებლო პროცესების, ტექნოლოგიებისა და სხვა საინჟინრო საკითხების დიფერენცირებასა და იდენტიფიცირებას;
- რაოდენობრივად აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს რთულ, არასრულ და წინააღმდეგობრივ წინასაპროექტო მონაცემებს, გასაგებად გადმოსცემს მათი ანალიზის შედეგებს და მათზე დაყრდნობით დამაჯერებლად იცავს მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- აყალიბებს საპროექტო კონცეფციის შექმნასთან და შენობა-ნაგებობების დაპროექტებასთან დაკავშირებულ კომპლექსურ ამოცანებს, მათი გადაჭრის გზებს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;
- ქმნის არქიტექტურულ პროექტს- კვლევის სხვადასხვა მეთოდების, წარმოსახვის, შემოქმედებითი მიდგომის, სივრცითი აზროვნების და შეგროვილი ინფორმაციის ანალიზის გამოყენებით, ჰუმანიტარული, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი, კლიმატური წინაპირობების, ესთეტიკური, ფუნქციური, ტექნოლოგიური, უსაფრთხოების, ეროვნომიკის, ტექნიკური რეგლამენტების, გარემოსდაცვითი და მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ითვალისწინებს და ასახავს პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, კონსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს;
- იყენებს ელექტრონულ, გრაფიკულ, მაკეტირების, ვერბალურ, წერით, მულტიმედიურ და სხვა მეთოდებს, სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრულ სპექტრს. სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მისი ანალიზის შედეგებს;
- ახდენს ეფექტურ სიტყვიერ, წერილობით, გრაფიკულ და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით გამოხატულ კომუნიკაციის დემონსტრირებას არქიტექტურული საქმიანობის პროცესში ჩართულ ადამიანებთან პროფესიული ეთიკის მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით;
- განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს საკუთარ პროფესიული განვითარების პრიორიტეტებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული, შემთხვევების

შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირება, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, წერითი ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	ECTS Credits
1	წრფივი ალგებრის და ანალიტიკური გეომეტრიის ელემენტები	5
2	არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები	5
3	ხატვა	5
4	არქიტექტურული გრაფიკა	5
5	CAD სტუდია	5
6	პროფესიული ენა და ვერბალური კომუნიკაცია - I დონე	5
7	არქიტექტურა მოდერნიზმამდე	5
8	გეოდეზია არქიტექტურაში	5
9	გაფართოებული ხატვა	5
10	3D ვიზუალიზაცია	5
11	პროფესიული ენა და ვერბალური კომუნიკაცია - II დონე	5
12	საპროექტო სტუდია დამწყებთათვის	5
13	მოდერნიზმი ხელოვნებასა და არქიტექტურაში	5
14	სამშენებლო კონსტრუქციები 1	5
15	არქიტექტურული მასალათმცოდნეობა	5
16	პორტფოლიო არქიტექტორებისათვის	5
17	ქალაქი და უსაფრთხოება	5
18	საპროექტო სტუდია და პროექტის პრეზენტაცია	5
19	არქიტექტურა დღეს	5
20	ერგონომიკის საფუძვლები არქიტექტორებისათვის	4
21	საქართველოს ისტორია და კულტურა	5
22	სამშენებლო კონსტრუქციები - 2	5
23	მწვანე დიზაინი და ბუნებაზე დაფუძნებული მიდგომები ურბანული გარემოსათვის	5
24	გარემოს დაცვა და ეკოლოგია - 2	5
25	შემოქმედებითი საპროექტო სტუდია	6
26	სოციალურ მეცნიერებათა პრინციპები	4
27	პროექტირება და სოციალური ანტროპოლოგია	4
28	ფილოსოფია და არქიტექტურა	4
29	არქიტექტურული ფიზიკა და შენობათა ტექნოლოგიები	5
30	ლანდშაფტის არქიტექტურა	5
31	მდგრადი დაპროექტების სტუდია	6
32	ურბანული დაგეგმვა და დიზაინი	5
33	არქიტექტორი და საზოგადოება	3
34	შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	4
35	მდგრადი განვითარების არქიტექტურა	5

№	სასწავლო კურსი	ECTS Credits
36	ურბანული დიზაინის სტუდია	5
37	კონტექსტუალური დაპროექტების სტუდია	8
38	შენობების საინჟინრო აღჭურვა	5
39	არქიტექტურული პრაქტიკა	5
40	მდგრადი დიზაინის ინტერიერის სტუდია	5
41	ინოვაციური დაპროექტების სტუდია	10
42	არქიტექტურის თეორია და კრიტიკა	5
43	ეთიკა და დაპროექტების საკანონმდებლო საფუძვლები	5
44	არქიტექტურული პროექტის მენეჯმენტი	5
45	საბაკალავრო არქიტექტურული პროექტი	10
46	თავისუფალი კომპონენტი	20